



№2-326

09.10.2012

სურსათის ეროვნულ სააგენტოს

მოგმართავთ იმასთან დაკავშირებით, რომ 2012 წლის ზაფხულში ჩვენ ნაყინების უვნებლობის რამოდენიმე შემოწმება ჩავატარეთ (შედეგების შესახებ წერილობით გაცნობებთ)

აღნიშნული პროდუქტის უვნებლობის მახასიათებლების გაუმჯობესების შესამოწმებლად 2012 წლის 14 სექტემბერს შევიძინეთ შემდეგი ნაყინები:

1. ვანილის პლომბირი გურჯაანის ნაყინი, 500 გრამიანი, გამოშვების თარიღი 24.08.12;
2. საოჯახო ვანილის ნაყინი პლომბირი თოლია, 500 გრამიანი, გამოშვების თარიღი 1.09.12
3. ვანილის ნაყინი ბარამბო, 100მლ, გამოშვების თარიღი 20.08.12;
4. ვანილის ნაყინი იოლი, 100მლ, გამოშვების თარიღი 22.08.12.

ნაყინები შესამოწმებლად ჩაბარდა ორ ლაბორატორიას: ერთი მათგანი იყო შპს "მულტიტესტი", ლაბორატორია რომელშიც ჩვენ იგივე ტიპის ნაყინები ადრე შევამოწმეთ, მეორე კი ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ბიურო.

ლაბორატორიიდან მიღებული პასუხები ასეთია:

ლაბორატორია "მულტიტესტის" ინფორმაციით ნაყინები #1 და #4 ("გურჯაანი" და "იოლი") კოლიბაქტერიებით დაბინძურებულია, ხოლო ნაყინები #2 და #3 ("თოლია" და "ბარამბო") სუფთაა;

ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის მიხედვით კი კოლიბაქტერიებით დაბინძურებულია ნაყინები "გურჯაანი", "იოლი" და "თოლია", ხოლო ნაყინი "ბარამბო" სუფთაა.

გთხოვთ იქონიოთ რეაგირება. მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით გთხოვთ გვაცნობოთ მითითებული პროდუქტის თქვენს მიერ შემოწმების შედეგები, რათა იგი თანაბრად ხელმისაწვდომი გავხადოთ

ქ. თბილისი, 0177, დელისის I შესახვევი 5<sup>ა</sup>

ტელ/ფაქსი: (995 32) 2399019, 2399018 ელ.ფოსტა: office@csrdg.ge http://www.csrdg.ge

5<sup>ა</sup> Delisi 1<sup>st</sup> Lane., 0177 Tbilisi / Georgia

Tel./Fax: (995 32) 2399019, 2399018 E-mail: office@csrdg.ge http://www.csrdg.ge


www.moxmarebeli.ge

www.moxmarebeli.ge

საკითხს აშუქებს

საზოგადოებისთვის და თავიდან ავიცილოთ მომხმარებლის შესაძლო შეცდომაში შეყვანა ჩვენს მიერ.

პატივისცემით,

ლია თოდუა 

პროექტის დირექტორი

პროექტი: "აქტიური მომხმარებელი საკუთარი უფლებების დასაცავად"  
(პროექტს აფინანსებს "ფონდი ღია საზოგადოება საქართველო")



საკითხს აშუქებს მომხმარებელი.ge

www.moxmarebeli.ge

საკითხს აშუქებს

17



**შ.პ.ს. “მულტიტესტი”  
ტესტირების ლაბორატორია**

აკრედიტაციის მოწმობა GEO-268-20814845-3.1-0375 (08.09.2011-08.09.2014)

თბილისი 0126, დიდგორის № 13, ტელ. +99532 2 14 48 48; +99590 88 24 42; ელ-ფოსტა:

[multitest@wanex.net](mailto:multitest@wanex.net)

გამოცდის ოქმი № 2179

20/09/12

პროდუქციის დასახელება: ნაყინი №2

ლაბორატორიაში ნიმუშის საიდენტიფიკაციო ნომერი: O-272

დამკვეთი: “სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი”

წარმოდგენილი პროდუქციის რაოდენობა: 1 ნიმუში, 500 გ (1 ერთეული)

ნიმუშის აღების აქტი: ნიმუში აღებულია დამკვეთის მიერ

ნიმუშის მიღების თარიღი: 14/09/12

ანალიზის დაწყების დრო: 14/09/12

ანალიზის დამთავრების დრო: 19/09/12

გამოცდის მიზანი: სანწინდან ნაწ. III 2.3.2.000-00; 6.2.7.1.-თან შესაბამისობა

გამოცდის შედეგები

№	პარამეტრის დასახელება და განზომილება	ფაქტიური მაჩვენებელი	ნორმა	გამოცდის მეთოდი
მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები				
			პროდუქტის მასა, რომელშიც არ დაიშვება	
1	ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიები (კოლიფორმები)	არ აღმოჩნდა	0,01გ	გოსტ 9225-84

ლაბორატორიის ხელმძღვანელი:



/დ. კალანდაძე/

წინამდებარე ოქმში მოცემული გამოცდის შედეგები, შეესაბამება მხოლოდ ამავე ოქმში მითითებულ საანალიზო ნიმუშს

**შ.პ.ს. “მულტიტესტი”**  
**ტესტირების ლაბორატორია**  
 აკრედიტაციის მოწმობა GEO-268-20814845-3.1-0375 (08.09.2011-08.09.2014)  
 თბილისი 0126, დიდგორის № 13, ტელ. +99532 2 14 48 48; +99590 88 24 42; ელ-ფოსტა:  
[multitest@wanex.net](mailto:multitest@wanex.net)

გამოცდის ოქმი № 2181

20/09/12

პროდუქციის დასახელება: ნაყინი №4  
 ლაბორატორიაში ნიმუშის საიდენტიფიკაციო ნომერი: O-274  
 დამკვეთი: “სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი”  
 წარმოდგენილი პროდუქციის რაოდენობა: 1 ნიმუში, 1000 მლ (1 ერთეული)  
 ნიმუშის აღების აქტი: ნიმუში აღებულია დამკვეთის მიერ  
 ნიმუშის მიღების თარიღი: 14/09/12  
 ანალიზის დაწყების დრო: 14/09/12  
 ანალიზის დამთავრების დრო: 19/09/12  
 გამოცდის მიზანი: სანწინდან ნაწ. III 2.3.2.000-00; 6.2.7.1-თან შესაბამისობა

№	პარამეტრის დასახელება და განხორციელება	გამოცდის შედეგები		გამოცდის მეთოდი
		ფაქტიური მანკენებელი	ნორმა	
მიკრობიოლოგიური მანკენებლები				
			პროდუქტის მასა, რომელშიც არ დაიშვება	
1	ნაწლავის ჩხირის ვგუფის ბაქტერიები (კოლიფორმები)	აღმოჩნდა	0,01გ	გოსტ 9225-84

ლაბორატორიის ხელმძღვანელი:



/დ. კალანდაძე/





ლევან სამხარაულის სახელობის  
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო  
LEVAN SAMKHARAU LI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5-030686-2012

3 10 201 წ.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და  
განვითარების ცენტრის  
წარმომადგენელს ქალბატონ ლია თოდუას  
დელისის 1, შეს. 5ა;  
ტელ.: 599577959

ქალბატონო ლია,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო,  
თქვენი 2012 წლის 14 სექტემბრის განცხადების საფუძველზე (ხელშეკრულება  
N2-006973-2012; ბიუროს რეგისტრაციის N1-064349-2012/04), გიგზავნით  
მიკრობიოლოგიური ექსპერტიზის N035627-2012/04/2 დასკვნას.

დანართი: ექსპერტის დასკვნა - 05 ფურცელზე.

პატივისცემით,

ვახტანგ კარგარეთელი

ბიუროს უფროსის პირველი მოადგილე

WWW.EXPERTIZA.GOV.GE WWW.FORENSICS.GE

## გაფრთხილება

ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის ექსპერტი:

ე. ინასარიძე



### ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

2012 წლის 14 სექტემბერს, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის წარმომადგენლის ლია თოდუას ა.წ. 14 სექტემბრის განცხადების საფუძველზე (ხელშეკრულება №2-006973-2012; ბიუროს რეგისტრაციის №1-064349-2012/04), საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში მიკრობიოლოგიური ექსპერტიზის ჩასატარებლად მიღებული იქნა:

1. ერთი ფუთა დაულუქავი სახით;

### ექსპერტის წინაშე დასმული შიკითხვები

„გთხოვთ დაადგინოთ ნაყინის წარმოდგენილ 4 ნიმუშში კოლიბაქტერიების არსებობა“.



ექსპერტიზის ჩატარება დაევალა:

- ეთერ ინასარიძეს, ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის კვების პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტს, რომელსაც აქვს უმაღლესი ქიმიური განათლება, ექსპერტ-კრიმინალისტიკის კვალიფიკაცია და სპეციალობით მუშაობის 28 წლის სტაჟი.

- მიკრობიოლოგიური გამოკვლევა ჩაატარა ამავე სამმართველოს თანამშრომელმა ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ც. სამადაშვილმა.

### ექსპერტის დასკვნა №035627-2012/04/2

შემოსვლის თარიღი 14.09.2012წ

გასვლის თარიღი 03.10.2012წ

ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილ ნაყინის ნიმუშებიდან ობ. №№1, 3 და 4-ში (ეტიკეტებზე წარწერებით: იოლი, ვანილის ნაყინი; თოლია, პლომბირი საოჯახო ნაყინი; პლომბირი ვანილის გურჯაანის ნაყინი) აღმოჩნდა ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიები. ობ. №2-ში (ეტიკეტზე წარწერით: ბარამბო ვანილის ნაყინი) არ აღმოჩნდა ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიები.

### კ ვ ლ ე ვ ა

კვლევის ობიექტები ბიუროში წარმოდგენილია პოლიმერული მასალისაგან დამზადებული პარკით (1 ფუთა) დაულუქავი სახით. ფუთის გახსნისას მასში აღმოჩნდა 4 ცალი პოლიმერული სათავსო.

ობიექტი №1 – იოლი ვანილის ნაყინი – მრგვალი ფორმის სათავსო მხატვრულად გაფორმებული წარწერით: იოლი, ვანილის ნაყინი, პროდუქტი სერტიფიცირებულია, დამზადებულია საქართველოში. პირველი ქართული კომპანია ორი ISO სერთიფიკატით ISO 9001:2008 ხარისხის მართვის სტანდარტი, ISO 22000:2005 სურსათის უვნებლობის სტანდარტი; შტრიხკოდი: 4 860052 000092, ნაყინის შემადგენლობა: რძე აღდგენილი (წყალი, უცხიმო შერალი რძე), შაქრის ფხვნილი, ნაღების კარაქი, შესქელებული რძე, სტაბილიზატორი, ვანილი. 100გრ. პროდუქტი შეიცავს: ცილა-3,01გრ; ცხიმი-13,12გრ; ნახშირწყლები-22,6გრ. ენერგეტიკული ღირებულება: 221კკალ. შენახვის ტემპერატურა:  $-20^{\circ}\text{C}\pm 2^{\circ}\text{C}$ ; მსტ 20441858-024-2011; შენახვის ვადა 6 თვე; გამოშვების თარიღი: 23.06.2012; მოცულობა 1000მლ. შპს კომპანია „იოლი“ აბუსერბე-ტბელის ქ.№13, 0120, თბილისი საქართველო. ნიმუში დათვალიერდა და კვლევას დაექვემდებარა. კვლევის შედეგები იხილეთ ცხრილში.

ობიექტი №2 – ბარამბო ვანილის ნაყინი – ოვალური ფორმის სათავსო მხატვრულად გაფორმებული წარწერით: „ბარამბო“ ვანილის ნაყინი, 1000 მლ. ხარისხის 100% გარანტირებულია. გამოშვების თარიღი: 20.08.12 ვადა: 20.02.13, შტრიხკოდი: 4 860009 781807. ბარამბოს ვანილის ნაყინი – საოჯახო, შემადგენლობა: წყალი, შაქარი, ნაღების კარაქი, უცხიმო რძის ფხვნილი, რძის შრატის ფხვნილი, მცენარეული ცხიმი, სტაბილიზატორ-ემულგატორი (E407, E410, E412, E471), ბუნებრივის იდენტური არომატიზატორი „ვანილი“. 100გრ. პროდუქტის კვებითი ღირებულება: ცილები 2.9გ.



ცხიმები 12.0გ, ნახშირწყლები 22.2გ. 100გრ. პროდუქტის ენერგეტიკული ღირებულება: 205 კკალ. შეინახეთ  $-18^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე. მსტ 21095022-004-2011; დამამზადებელი: შპს „ბარამბო“ მისამართი: 3308, საქართველო, მცხეთის რაიონი, სოფ. ნატახტარი. ნიმუში დათვალიერდა და კვლევას დაექვემდებარა. კვლევის შედეგები იხილეთ ცხრილში.

ობიექტი №3 – თოლია პლომბირი საოჯახო ნაყინი – ოვალური ფორმის სათავსო მხატვრულად გაფორმებული წარწერით: ნაყინი საოჯახო პლომბირი „თოლია“ ვანილი, 1000 მლ. გამოშვების თარიღი: 01.09.12 შტრიხკოდი: 4 860001 002016. მწარმოებელი: შპს „ქართუ-უნივერსალი“ (სავაჭრო ნიშანი „თოლია“ მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი მე-2 ჩიხი №11. „საოჯახო“ ვანილის ნაყინი, პლომბირი, შემადგენლობა: რძე მშრალი აღდგენილი (უცხიმო და ცხიმოვანი), შაქარი, პიდროგენიზებული მცენარეული ცხიმი, ნაღების კარაქი, შედეღებული რძე, ნატურალური რძისგან დამზადებული ცილოვანი დანამატი, გლუკოზა, ემულგატორ-სტაბილიზატორი (E471, E412, E433, E466, E407), ბუნებრივის იდენტური არომატიზატორი (კრისტალური ვანილინი). კვებითი ღირებულება. 100 გ. შეიცავს: ცილები-2.8 გ. ცხიმები-15.1 გ. ნახშირწყლები-22.3 გ. ენერგეტიკული ღირებულება: 236 კკალ. შენახვის პირობები:  $-23^{\circ}\text{C}\pm 3^{\circ}\text{C}$  ტემპერატურა. ვადა 12 თვე. მსტ 20460459-001-2003; 500±10გრ, 1000მლ. ნიმუში დათვალიერდა და კვლევას დაექვემდებარა. კვლევის შედეგები იხილეთ ცხრილში.

ობიექტი №4 – პლომბირი ვანილის გურჯაანის ნაყინი –მართკუთხა ფორმის სათავსო მხატვრულად გაფორმებული წარწერით: პლომბირი ვანილის გურჯაანის ნაყინი, სერტიფიცირებულია მსტ 155717-004-2003; შპს „აისი“, გურჯაანი, ევლოშვილის ქ. 37. შტრიხკოდი: 4 860006810166. გამოშვების თარიღი: გაურკვეველია. „პლომბირი ვანილის“ ნაყინის შემადგენლობა: ნატურალური რძის ფხვნილი, ნაღების კარაქი, სტაბილიზატორ-ემულგატორი, სახამებელი, შაქარი. შენახვის ტემპერატურა:  $-22^{\circ}\text{C}$ , შენახვის ვადა: 60დღე. 100გრ. პროდუქტი შეიცავს 217კკალ. ცხიმები-15%, ნახშირწყლები-17გრ, ცილები-3,6გრ. წონა: 480-510გრ. ნიმუში დათვალიერდა და კვლევას დაექვემდებარა. კვლევის შედეგები იხილეთ ცხრილში.

## ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ნაყინის ნიმუშების მიკრობიოლოგიური გამოკვლევის შედეგები

პარამეტრის დასახელება	ნორმა სანწიდან 2.3.2.000-00-ის მიხედვით:	ობიექტი №1 იოლი, ვანილის ნაყინი	ობიექტი №2 ბარამბო, ვანილის ნაყინი	ობიექტი №3 თოლია, პლომბირი საოჯახო ნაყინი	ობიექტი №4 პლომბირი ვანილის, გურჯაანის ნაყინი
პროდუქტის მასა (გ) რომელშიც არ დაიშვება ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიები (კოლიფორმები)	0.01	აღმოჩნდა	არ აღმოჩნდა	აღმოჩნდა	აღმოჩნდა

გამოკვლევა ჩაატარა

ც. სამადაშვილმა



ქ. სპე. შო

## გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი “სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ”;
2. საქართველოს კანონი “მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ”;
3. სანწიდან 2.3.2.000-00 - ჰიგიენური მოთხოვნები სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოებისადმი;
4. სახელმწიფოთაშორისი სტანდარტი – 9225.

2

ფოტოილუსტრაცია



ოქმი

2012 წლის 14 სექტემბერი

ამით ვადასტურებთ, რომ დავესწართ სურსათის ნიმუშების აღებას სასურსათო პროდუქტიდან და რომ სურსათის ნიმუში მოთავსდა სტერილურ ჭურჭელში და დაინომრა ქვემოთ მითითებული ნომრებით:

ნომერი	პროდუქტის აღწერა				
	დასახელება	მწარმოებელი	გამომშვების /ვარგისიანობის თარიღი	შესყიდვის ადგილი	შესყიდვის თარიღი
1	ვანილის პლომბირი გურჯაანის ნაყინი, 500 გრ.	შპს "აისი"	გამომშვების თარიღი 24.08.12	გუდვილი საბურთალოზე	14.09.12
2	საოჯახო ვანილის ნაყინი პლომბირი თოლია, 500 გრ	შპს "ქართუ-უნივერსალი"	გამომშვების თარიღი 01.09.12	გუდვილი საბურთალოზე	14.09.12
3	ვანილის ნაყინი ბარამბო 1000მლ	კომპანია "ბარამბო"	გამომშვების თარიღი 20.08.12	გუდვილი საბურთალოზე	14.09.12
4	ვანილის ნაყინი იოლი, 1000მლ	შპს კომპანია "იოლი"	გამომშვების თარიღი 22.08.12	გუდვილი საბურთალოზე	14.09.12

ნიმუშები გამიზნულია გასაყიდად გამოტანილი სურსათისთვის საქართველოს ნორმატიული აქტებით დადგენილი უვნებლობისა და ეტიკეტირების მოთხოვნების შესამოწმებლად.

სახელი, გვარი: ლია თოდუა

ხელმოწერა: 

სახელი, გვარი: თამარ გობეჯიშვილი

ხელმოწერა: 



ნიმუშის მიღება-ჩაბარების აქტი № 16

ქ. თბილისი

14. 09 2012 წ. 15:15

დამკვეთი : სუსხვეგოელო კელეკი და კანდიდატის კონქსი  
ორგანიზაციის დასახელება, წარმომადგენლის სახელი გვარი, მისამართი

ფიზიკური პირის პირადობის მოწმობის ნომერი

შემსრულებელი: შ.პ.ს. „მულტიტესტი“

მისამართი: ქ. თბილისი, დიდგორის ქ. №13

დამკვეთმა გადასცა ხოლო შემსრულებელმა მიიღო შემდეგი ნიმუშები:  
ნიმუშის მიღების დრო(თვე/რიცხვი/საათი):

№	დასახელება	მოცულობა	ნიმუშის რაოდენობა	შეფუთვის სახე	შეამოწმება
1	წყობი №1	480კ	1 ც	ექსპლორაცი	
2	წყობი №2	360კ	1 ც	←	
3	წყობი №3	480კ	1 ც	←	
4	წყობი №4	480კ	1 ც	←	

დამკვეთი: *(Handwritten signature)*

შემსრულებელი: *(Handwritten signature)*

